


გამოყენების ინსტრუქცია
სალიცილ-თუთიის პასტა
(PASTA ZINCI SALICYLATA)



ზოგადი დახასიათება

აქტიური ნივთიერება: 1გ პასტა შეიცავს სალიცილის მჟავას 0,02გ, თუთიის ზეჟანგს 0,25გ;

დამხმარე ნივთიერებები: კარტოფილის სახამებელი, ვაზელინი;

წამლის ფორმა: პასტა. ერთგვაროვანი მასა თეთრი ფერის ყვითელი ელფერით.

მწარმოებელი

ღსს „ტერნოფარმი“

უკრაინა, 46010, ქ. ტერნოფარმი, ფაბრიჩნაიას ქ. 4

ტელ/ფაქსი: (0352) 521-444, <http://www.ternopharm.com.ua>.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: დერმატოლოგიური საშუალება. პრეპარატები დამარბილებელი და დამცავი მოქმედებით. სალიცილის მჟავას პრეპარატები. ATC D02AF.

ფარმაკოლოგიური თვისებები: გარეგანი გამოყენების კომბინირებული პრეპარატია, რომლის მოქმედებაც განპირობებულია შემადგენელი კომპონენტების თვისებებით. სალიცილის მჟავას გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური და ზომიერი ადგილობრივი გამაღიზიანებელი მოქმედება. თუთიას აქვს სუსტი ანტიმიკრობული, შემახორცებელი, მადსორბირებელი მოქმედება, აშრობს კანს, რაც იწვევს ექსუდაციის შემცირებას და შესაბამისად, ადგილობრივად ანთებისა და გაღიზიანების შემცირებას. გარეგანი გამოყენებისას სალიცილ-თუთიის პასტა თითქმის არ აბსორბირდება სისტემურ სისხლში და არ ახდენს რეზორბციულ მოქმედებას.

ჩვენება: პიოდერმია, ეგზემა, დერმატიტი, კანის საფარველის დაწყლულება გამოხატული ექსუდაციის პროცესით, გამოყელვა, ფერიჭამიები, იქტიოზი, დისკერატოზი.

უკუჩვენება: პრეპარატის კომპონენტების მიმართ ჰოპერმგრძობელობა. კანისა და მიმდებარე ქსოვილების მწვავე ჩირქოვანი დაავადებები.

სიფრთხილე გამოყენებისას: არ შეიძლება პასტის მოხვედრა თვალებსა და ღია ჭრილობებში. თუ ეს მოხდა შემთხვევით, საჭიროა დიდი რაოდენობით წყლით დაბანა. არ შეიძლება პასტის ისეთ ჭრილობებზე დატანა, რომელიც ძალიან სველი ან ძალიან მშრალია.

